

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა,

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. სხვა შემოსავალი	11
6. შრომის ანაზღაურების ხარჯი	11
7. სტიპენდიის ხარჯი	11
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	11
9. წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	12
10. ძირითადი საშუალებები	13
11. გაცემული სესხები	14
12. გადახდილი ავანსები	14
13. საგადასახადო აქტივი	14
14. ფული და ფულის ექვივალენტები	15
15. კაპიტალი	15
16. მიღებული სესხები	15
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
18. პირობითი ვალდებულებები	16
19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	21
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	23
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	23
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	23
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ხელმძღვანელობას და მეწილეებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული აქვს შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან 18,061 ათასი ლარის ოდენობით. სააღრიცხვო პროგრამის არასრულფასოვნების გამო, მენეჯმენტმა ვერ შეძლო ჩვენთვის მოეწოდებინა დეტალური ინფორმაცია პერიოდის განმავლობაში აღიარებული შემოსავლების შესახებ. სააღრიცხვო ჩანაწერების მასშტაბის და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ჩვენ ვერ შევძელით სრულფასოვანი აუდიტორული პროცედურების ჩატარება შესაფერისი მტკიცებულების ასაღებად. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ შემოსავლებთან და სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპანიას აუდიტირებულ პერიოდში არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ჩვენ ალტერნატიული პროცედურების საშუალებით ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებები ოფისის აღჭურვილობის, სამედიცინო მანქანა-დანადგარების და სხვა ჯგუფებში გაერთიანებული ძირითადი საშუალებების აღრიცხვის სისწორეზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. ასეთი ძირითადი საშუალებების ჯამურმა ღირებულებამ 2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოსა და 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 2,206 ათასი, 1,811 ათასი და 1,689 ათასი ლარი შესაბამისად.

კომპანიას დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე სხვა თანხებთან ერთად დაკაპიტალიზირებული აქვს მარაგები ღირებულებით 19,105 ათასი ლარი, 13,581 ათასი და 8,882 ათასი ლარი 2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოსა და 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებები, რომ დავრწმუნებულიყავით დაკაპიტალიზირებული თანხების სისწორეში. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ დაუმთავრებელ მშენებლობასთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები გაცემული ავანსების ნაშთის დასადასტურებლად 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 310 ათას ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გაცემულ ავანსებთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19 -25 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ინფორმაციასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მეორე შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

თუმცა, ჩვენი დასკვნის - მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვანერგებით ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.



შპს „ეკოვის ეი-აი-ფი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (SARAS-A-629166)

25 დეკემბერი 2020

თბილისი, საქართველო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა.

თუმცა, ჩვენი დასკვნის - მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო“-ს მიერ გამოცემულ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან, ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ვალდებულებებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (SARAS-A-629166)

25 დეკემბერი 2020

თბილისი, საქართველო.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	1 სექტემბერი 2018- 31 აგვისტო 2019	1 სექტემბერი 2017- 31 აგვისტო 2018
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან		18,061	19,258
სხვა შემოსავალი	5	98	113
სულ შემოსავალი		18,159	19,371
შრომის ანაზღაურების ხარჯი	6	(5,505)	(5,330)
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(1,120)	(1,058)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	(994)	-
სტიპენდიის ხარჯი	7	(374)	(117)
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(2,573)	(2,010)
საოპერაციო მოგება		7,593	10,856
ფინანსური შემოსავალი		1,007	804
ფინანსური ხარჯი		(627)	(779)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	9	(179)	(27)
მოგება დაბეგვრამდე		7,794	10,854
მოგების გადასახადის ხარჯი		(62)	(33)
წლის სრული შემოსავალი		7,732	10,821

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 დეკემბერს:

გია კავთელიშვილი
რექტორი

ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ


მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა	1 სექტემბერი 2018- 31 აგვისტო 2019	1 სექტემბერი 2017- 31 აგვისტო 2018
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	18,061	19,258
სხვა შემოსავალი	98	113
სულ შემოსავალი	18,159	19,371
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(5,505)	(5,330)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,120)	(1,058)
აქტივების გაუფასურების ხარჯი	(994)	-
სტიპენდიის ხარჯი	(374)	(117)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,573)	(2,010)
საოპერაციო მოგება	7,593	10,856
ფინანსური შემოსავალი	1,007	804
ფინანსური ხარჯი	(627)	(779)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(179)	(27)
მოგება დაბეგვრამდე	7,794	10,854
მოგების გადასახადის ხარჯი	(62)	(33)
წლის სრული შემოსავალი	7,732	10,821

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 დეკემბერს:


გია კავთელიშვილი
რექტორი


ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	35,572	29,937	25,489
არამატერიალური აქტივები		61	74	87
გაცემული სესხები	11	5,568	4,949	2,718
სულ გრძელვადიანი აქტივები		41,201	34,960	28,294
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები		48	44	175
გაცემული სესხები	11	2,453	1,236	925
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		63	28	27
გადახდილი ავანსები	12	310	223	65
საგადასახადო აქტივი	13	1,134	996	666
ფული და ფულის ექვივალენტები	14	4,982	4,298	746
სულ მიმდინარე აქტივები		8,990	6,825	2,604
სულ აქტივები		50,191	41,785	30,898
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება	15	40,215	33,773	23,640
სულ კაპიტალი		40,217	33,775	23,642
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	1,512	4,033	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,512	4,033	-
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	16	8,105	3,594	7,049
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	357	383	207
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,462	3,977	7,256
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		50,191	41,785	30,898

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 სექტემბერი 2017		2	23,640	23,642
დივიდენდის გამოცხადება	15	-	(688)	(688)
მიმდინარე წლის მოგება		-	10,821	10,821
31 აგვისტო 2018		2	33,773	33,775
დივიდენდის გამოცხადება	15	-	(1,290)	(1,290)
მიმდინარე წლის მოგება		-	7,732	7,732
31 აგვისტო 2019		2	40,215	40,217

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის სრული მოგება		7,732	10,821
არაფულადი კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	1,120	1,058
ფინანსური შემოსავალი		(1,007)	(804)
ფინანსური ხარჯი		627	779
აქტივების გაუფასურების ხარჯი	11	994	-
მოგების გადასახადის ხარჯი		62	33
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	9	207	30
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,735	11,917
სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე			
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ცვლილებები სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(4)	131
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში		(33)	(7)
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში		(87)	(158)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		246	(331)
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში		5	142
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		9,862	11,694
გადახდილი მოგების გადასახადი		(62)	(33)
გადახდილი პროცენტი		(596)	(791)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,204	10,870
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე			
ძირითადი საშუალების შესყიდვა		(6,357)	(5,491)
მიღებული პროცენტი		136	649
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე		(6,221)	(4,842)
ფულადი სახსრები ფინანსური აქტივობებიდან			
გადახდილი დივიდენდები	15	(1,290)	(688)
გაცემული სესხი		(2,790)	(2,373)
მიღებული სესხი		1,753	582
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ საქმიანობაზე		(2,327)	(2,479)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების		656	3,549
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		4,298	746
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	9	28	3
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		4,982	4,298

1. კორპორატიული ინფორმაცია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (შემდგომში „სეუ“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2001 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 208215509. კომპანიას სახელწოდება შეეცვალა რამოდენიმეჯერ, ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის სახელწოდებაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება. კომპანიას აქვს, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამები, სეუ თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, მედიცინის, სამართლისა და განათლების აკადემიური მიმართულებებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, წინანდლის ქუჩა #9. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იგივე მისამართზე.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იან წილს ფლობდა გია კავთელიშვილი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტომდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 სექტემბერი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2018 წლის 31 აგვისტოს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2017 წლის 1 სექტემბრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამოწვევებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევების.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. როგორც ეს განმარტებულია მე-20 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა კორონა ვირუსის COVID 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, თუმცა გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები სასწავლო პროცესში რადგან მთელი ქვეყნის მასშტაბით სასწავლო პროცესი გადავიდა დისტანციურ რეჟიმში. მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 აგვისტოს, 2018 წლის 31 აგვისტოსა და 1 სექტემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019	წლის 31 აგვისტოსთვის	2.9457	3.2523
კურსი 2018	წლის 31 აგვისტოსთვის	2.5803	3.0184
კურსი 2017	წლის 1 სექტემბრისთვის	2.4301	2.8809

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვის აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა,

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	10-50
ტრანსპორტი	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
სამედიცინო დანადგარები	2-15
სხვა	2-20

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საუნივერსიტეტო პროგრამები	10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საეჭვო ვალეზზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

სხვა ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ხელფასები და ბონუსები. ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ანერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ჯგუფი აფასებს თავად ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო მისი იურიდიული ფორმას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ. სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები და გაცემული სესხები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. სხვა შემოსავალი

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
შემოსავალი იჯარიდან	90	100
სხვა	8	13
სულ	98	113

6. შრომის ანაზღაურების ხარჯი

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
ადმინისტრაციული ხელფასი	(2,940)	(2,732)
აკადემიური პერსონალის ხელფასი	(2,565)	(2,598)
სულ	(5,505)	(5,330)

7. სტიპენდიის ხარჯი

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
სტიპენდია - პირველი პრიორიტეტი	(294)	-
სტიპენდია - სარეიტინგო ქულები	(80)	(117)
სულ	(374)	(117)

7. სტიპენდიის ხარჯი (გაგრძელება)

უნივერსიტეტში დადგენილია სტიპენდია პირველი პრიორიტეტით ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის 77 ლარის ოდენობით (ერთეულ ლარში). აღნიშნული სტიპენდია იცვლება მეორე სემესტრიდან და დამოკიდებულია აკადემიური მოსწრების მაჩვენებელზე.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
კომუნალური ხარჯები	(500)	(375)
საგადასახადო ხარჯი	(454)	(344)
მივლინების ხარჯები	(237)	(112)
ავტომობილის რემონტის და შენახვის ხარჯი	(218)	(177)
სტუდენტური აქტივობების ხარჯი	(184)	(136)
საკონსულტაციო ხარჯები	(167)	(110)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(161)	(202)
რეკლამის ხარჯები	(126)	(220)
ქსელური მოწყობილობების ხარჯი	(84)	(50)
დაცვის ხარჯი	(65)	(86)
დაზღვევის ხარჯი	(58)	(50)
დასუფთავების ხარჯი	(49)	(37)
რემონტის ხარჯი	(29)	(15)
სხვა	(241)	(96)
სულ	(2,573)	(2,010)

9. წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან

2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	მიღებული სესხები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო სხვაობების ეფექტი	101	-	1	102
უარყოფითი საკურსო სხვაობების ეფექტი	(73)	(206)	(2)	(281)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	28	(206)	(1)	(179)

2017 წლის 1 სექტემბრიდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	მიღებული სესხები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
დადებითი საკურსო ეფექტი	17	3	-	2	22
უარყოფითი საკურსო ეფექტი	(14)	(33)	(1)	(1)	(49)
წმინდა საკურსო მოგება (ზარალი)	3	(30)	(1)	1	(27)

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	სამედიცინო დანადგარები	ტრანსპორტი	სხვა	მიმდინარე მშენებლობა	სულ
1 სექტემბერი 2017	4,044	12,759	2,827	537	1,033	573	8,882	30,655
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	1	665	-	93	33	4,699	5,491
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	(24)	-	-	(24)
31 აგვისტო 2018	4,044	12,760	3,492	537	1,102	606	13,581	36,122
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	82	1,072	-	38	25	5,524	6,741
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2019	4,044	12,842	4,564	537	1,140	631	19,105	42,863
დაგროვილი ცვეთა								
1 სექტემბერი 2017	-	(1,885)	(2,129)	(404)	(510)	(238)	-	(5,166)
ცვეთის ხარჯი	-	(374)	(431)	(27)	(146)	(65)	-	(1,043)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	24	-	-	24
31 აგვისტო 2018	-	(2,259)	(2,560)	(431)	(632)	(303)	-	(6,185)
ცვეთის ხარჯი	-	(366)	(524)	(26)	(124)	(66)	-	(1,106)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-
31 აგვისტო 2019	-	(2,625)	(3,084)	(457)	(756)	(369)	-	(7,291)
ნარჩენი ღირებულება						-	-	-
1 სექტემბერი 2018	4,044	10,874	698	133	523	335	8,882	25,489
31 აგვისტო 2018	4,044	10,501	932	106	470	303	13,581	29,937
31 აგვისტო 2019	4,044	10,217	1,480	80	384	262	19,105	35,572

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2019 წლის 31 აგვისტოს კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები, ღირებულებით 14,550 ლარი, ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხებისა და საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფისთვის იყო გამოყენებული (2018 წლის 31 აგვისტოს: 14,550 ლარი; 2017 წლის 1 სექტემბერი: 15,027 ლარი).

11. გაცემული სესხები

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხი	696	626	556
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	2,755	614	165
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხი	-	-	208
სულ მიმდინარე სესხები	3,451	1,240	929
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი	5,568	4,949	2,718
სულ გრძელვადიანი სესხი	9,019	6,189	3,647
გაცემული სესხის რეზერვი	(998)	(4)	(4)
გაცემული სესხები, ნეტო	8,021	6,185	3,643

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები წარმოადგენს გაცემულ სესხებსა და საკრედიტო ხაზებს 13%- 20%-მდე საპროცენტო სარგებლით. ყველა სესხი წარმოდგენილია ლარში. გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2020 წლის 31 დეკემბერი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სრულად არის დაფარული ორი დაკავშირებული მხარის მოკლევადიანი სესხი 1,451 ლარის ოდენობით.

გაცემული სესხის რეზერვის მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1 სექტემბერი 2017	(4)
დარიცხვა	-
31 აგვისტო 2018	(4)
დარიცხვა	(994)
31 აგვისტო 2019	(998)

12. გადახდილი ავანსები

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	427	340	182
გაუფასურების რეზერვი	(117)	(117)	(117)
გადახდილი ავანსები, ნეტო	310	223	65

13. საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, კომპანიას საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილი აქვს ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. საგადასახადო აქტივი (გაგრძელება)

ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საგადასახადო აქტივი მოიცავს საკუთარი წარმოების დროს გამოყენებული სამშენებლო მასალების შეძენისას ჩათვლილ დღგს, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას შენობის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში.

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4	11	-
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	75	2,884	558
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	4,903	1,403	188
სულ	4,982	4,298	746

კომპანიას გააჩნია სადეპოზიტო ანგარიშები კომერციულ ბანკში. დეპოზიტები განთავსებულია ლარში და ერიცხება წლიური 7.5%, ხოლო დოლარში - 2%. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ლარის დეპოზიტზე დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 136, ხოლო დოლარის ანგარიშზე დარიცხულმა პროცენტმა შეადგინა 9 ლარი. (2018: 210 და 0 ლარი შესაბამისად).

სადეპოზიტო ანგარიშები წარმოადგენს მოკლევადიანს. 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ლარის დეპოზიტის ნაშთი კონვერტირებულია დოლარში და განთავსებულია დოლარის სადეპოზიტო ანგარიშზე.

15. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 2,000 ლარს (ერთეულ ლარში).

დივიდენდები

დივიდენდების ოდენობის საკითხს და გაცემის წესს, ადგენს კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გია კაკთელიშვილი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება და გადახდა ხდებოდა პერიოდულად. წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა თანხამ შეადგინა 1,290 ლარი. (2018: 688 ლარი).

16. მიღებული სესხები

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	8,063	3,583	7,002
დარიცხული პროცენტი	42	11	47
სულ მოკლევადიანი სესხები	8,105	3,594	7,049
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	1,512	4,033	-
სულ გრძელვადიანი სესხები	1,512	4,033	-
სულ მიღებული სესხები	9,617	7,627	7,049

სესხები ლარში ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულია 11%-15% წლიური საპროცენტო სარგებლით, ხოლო დოლარში 8%-8.55%-ით.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კომპანიას 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან ჰქონდა აღებული 6,326 ათასი ლარის ოდენობის სესხი მიმდინარე მშენებლობის დასაფინანსებლად აღნიშნულ სესხთან მიმართებაში დარღვეული იყო ფინანსური კოვენანტი, თუმცა შემდგომ პერიოდში მოხდა აღნიშნული სესხის გადაფარვა რეფინანსირებით და 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებულ ახალ სესხებზე აღარ გავრცელდა დარღვეული ფინანსური კოვენანტი.

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული მოკლევადიანი სესხი წარმოადგენს საკრედიტო ხაზს, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენდა კომპანიის საკუთრებაში არსებული სასწავლო შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაფინანსება და რომელიც სრულად არის რეფინანსირებული 2020 წლის იანვარში აღებული გრძელვადიანი სესხით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-20 შენიშვნაში.

ინფორმაცია მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად გამოყენებული აქტივების შესახებ იხილეთ მე-10 შენიშვნაში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	126	150	67
გადასახდელი ხელფასი	231	233	140
სულ	357	383	207

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულა არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ურთიერთობა	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	8,323	5,563	2,883

სრული შემოსავლების ანგარიშგება	ურთიერთობა	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
ფინანსური შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	792	517

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	545	477

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

2020 წლის დასაწყისში ახალი კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოში. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების და მისი ნეგატიური შედეგების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ასეთ პირობებში გაიზარდა რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. მომსახურების სფეროს კომპანიები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა (სეუ) უმოკლეს ვადებში მოახერხა სწავლების დისტანციური რეჟიმის უზრუნველყოფა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის და განაგრძო სრულფასოვანი ფუნქციონირება. მენეჯმენტი აგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიის მიერ გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 1,838 ლარს.

ამავე პერიოდში კომპანიამ დამატებით გასცა სესხი დაკავშირებულ კომპანიებზე 1,364 ლარის ოდენობით.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ინსტიტუტებიდან დამატებით აიღო სესხი 9,911 ლარის ოდენობით, რომლითაც მოახდინა ძველი სესხების რეფინანსირება. კერძოდ, აღნიშნული სესხით სრულად არის გადაფარული წინა პერიოდებში აღებული სესხები, რომელმაც ჯამში შეადგინა 9,784 ლარი.

შპს საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (შემდგომში სეუ) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2001 წლის 19 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რექტორია გია კავთელიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადად ჩართულია საგანმანათლებლო საქმეში. კომპანიას აქვს, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო პროგრამები, უნივერსიტეტი თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებების, მედიცინის, სამართლისა და განათლების აკადემიური მიმართულებებით.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის	2018 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
შემოსავალი სწავლებიდან	18,061	19,258
სხვა შემოსავალი	98	113

არსებული პროდუქტები და მომსახურება

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“ ახორციელებს 3 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას. საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უმაღლესი განათლების ორ საფეხურზე - საბაკალავრო და სამაგისტრო.

საბაკალავრო პროგრამები

1. ბიზნესის მართვის ფაკულტეტი

სეუ-ს ბიზნესის მართვის სკოლის თითოეული პროგრამა შემუშავებულია თანამედროვე განათლების სტანდარტებისა და გამოწვევების შესაბამისად. ბიზნესის სკოლა აერთიანებს 5 ძირითადი სპეციალობის საბაკალავრო პროგრამას:

- ბიზნეს ადმინისტრირება
- ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- მენეჯმენტი
- ტურიზმი
- ფინანსები

თითოეული პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სფეროსათვის შესაბამისი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელსაც მმართველობითი სფეროს უკანასკნელ მიღწევებზე დაფუძნებულ თეორიულ ცოდნასთან ერთად გამომუშავებული ექნება თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებისთვის აქტუალური უნარ-ჩვევები ბაკალავრისათვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

1. სამართლის ფაკულტეტი

სეუ-ს სამართლის სკოლა ახორციელებს სამართლის საბაკალავრო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური და სამართლებრივი ღირებულების მქონე დარგის სპეციალისტის მომზადებას.

- სამართალი

პროგრამა მიზნად ისახავს სფეროსათვის საჭირო ფუნდამენტური ცოდნის მქონე კომპეტენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას. პროგრამა აქტუალურია, სპეციალურად შემუშავებული ახალი სასწავლო დისციპლინითა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით.

2. სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სოციალური მეცნიერებების სკოლის პროგრამები შექმნილია შრომის ბაზრის თანამედროვე და აქტუალური გამოწვევების გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭებას შემდეგი ძირითადი სპეციალობებით:

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

- ჟურნალისტიკა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ფსიქოლოგია

თითოეული პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტმა მიიღოს ძირითადი სპეციალობის საფუძვლიანი ცოდნა. ასევე, თავისი ინდივიდუალური ინტერესების, შესაბამისად შეისწავლოს მისი პროფესიისთვის საინტერესო ქვემომართულება პროგრამების არჩევით ბლოკებში

სამაგისტრო პროგრამები

1. განათლების ადმინისტრირების ფაკულტეტი

განათლების ადმინისტრირების სკოლის სამაგისტრო პროგრამა ზოგადი და უმაღლესი განათლების ადმინისტრირებაში უზრუნველყოფს განათლების სფეროს მომავალი ლიდერის, ადმინისტრატორისა და მკვლევარის მომზადებას, რომელსაც ფუნდამენტურად გააზრებული აქვს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები და არსებული გამოწვევები მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკა, საგანმანათლებლო სისტემების კუთხით და ფლობს აქტუალურ ცოდნას განათლების სისტემის მდგრადი განვითარებისთვის.

- განათლების ადმინისტრირება

სტუდენტს შესაძლებლობა აქვს აარჩიოს უმაღლესი ან ზოგადი განათლების ადმინისტრირების მიმართულება. პროგრამა სავალდებულო სავალდებულო სასწავლო კურსებთან და კვლევით კომპონენტთან ერთად ითვალისწინებს საკონსულტაციო პროექტის მომზადებას განათლების სფეროს აქტუალურ პრობლემებზე

2. სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა ახორციელებს სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას, რომლის ფარგლებში აქტუალური სამეცნიერო თეორიების შესწავლის პარალელურად უზრუნველყოფილია სტუდენტების პრაქტიკა სოციალურ ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკისა და ტრენინგის დაგეგმვის ნაწილში, ასევე გამოყენებითი ხასიათის კვლევითი ნაშრომის მომზადება.

- სოციალური ფსიქოლოგია

3. ბიზნესის მართვის სკოლა

ბიზნესის მართვის სკოლა უზრუნველყოფს მაგისტრანტების მომზადებას ფინანსური სექტორისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში წამყვან პოზიციებზე მუშაობისთვის, მათთვის სტრატეგიული, ანალიტიკური და საკონსულტაციო უნარების განვითარებას, ცვლილებების მართვასა და გუნდის ხელმძღვანელობის შესაძლებლობის ჩამოყალიბებას.

- საბანკო საქმე
- ადამიანური რესურსების მართვა

ბიზნესის მართვის სკოლის სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის, როგორც აქტუალური თეორიული ბაზისის, ასევე ეფექტური კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირებას.

4. სამართლის ფაკულტეტი

სეუ-ს სამართლის სკოლა ახორციელებს სამართლის სამაგისტრო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური და სამართლებრივი ღირებულებების მქონდე დარგის სპეციალისტის მომზადებას.

- სამართლის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში შეისწავლება სისხლის, კერძო, საერთაშორისო და საჯარო სამართლის პრობლემატური საკითხები, გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსის (street law) სწავლება, იურიდიული კლინიკა და ინტერდისციპლინარული კვლევითი ნაშრომის მომზადება.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

ინგლისურენოვანი მედიცინა

პროგრამის მიზანი

სეუს ინგლისურენოვანი მედიცინის საბაკალავრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური დიპლომირებული მედიკოსის მომზადება. პროგრამა უზრუნველყოფს ისეთი აზროვნების, ცოდნისა და პრაქტიკული/კლინიკური უნარების გამომუშავებას, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობის წარმატებით წარმართვისა და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის.

შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი“ სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან სტუდენტურ აქტივობებს:

SEU სპორტი

- რაგბი
- ფეხბურთი

ხელოვნება და კულტურა

- ანსამბლი სეუ
- დასი
- მხიარულთა და საზრიანთა კლუბი
- SEU Art Project

სტუდენტური კლუბები

- დიპლომატთა კლუბი
- იურისტთა კლუბი
- კურსდამთავრებულთა კლუბი
- სტუდენტური თვითმმართველობა

კარიერა

- როგორ ვიპოვოთ სასურველი სამუშაო
- რჩევა CV - რეზიუმეს შესადგენად
- გზამკვლევი საუკეთესო სამოტივაციო წერილისთვის
- როგორ მოვემზადოთ გასაუბრებისთვის

კომპანიის სტრუქტურა.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს დირექტორი კომპანიის დაარსების დღიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო გია კავთელიშვილი. კომპანიის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

კომპანია არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 18,159 ლარი, რაც 6%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. არსებულ შემცირებაზე ძირითადად გავლენა მოახდინა საანგარიშგებო პერიოდში სტუდენტთა რაოდენობის შემცირებამ.

ძირითადი კოეფიციენტები:

	1 სექტემბერი 2018- 31 აგვისტო 2019	1 სექტემბერი 2017- 31 აგვისტო 2018
სულ შემოსავალი	18,159	19,371
სულ აქტივები	50,191	41,785
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	500	450

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

	1 სექტემბერი 2018- 31 აგვისტო 2019	1 სექტემბერი 2017- 31 აგვისტო 2018
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.06	1.72
EBITDA %	48.0%	61.5%
უკუგება კაპიტალზე (ROE)	19.2%	32.0%
უკუგება აქტივებზე (ROA)	15.4%	25.9%
წმინდა მოგების მარჟა	42.6%	55.9%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 501-დან 515-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

2018-2019 სასწავლო წლის მონაცემებით უნივერსიტეტში 5,165 (2018-2017: 5,816) აქტიური სტუდენტია. მათგან 5,024 (2018-2017: 5,497) სტუდენტი საბაკალავრო საფეხურზე, ხოლო 141 (2018-2017: 319) -სამაგისტრო საფეხურზე

არაფინანსური მაჩვენებლები

	1 სექტემბერი 2018- 31 აგვისტო 2019	1 სექტემბერი 2017- 31 აგვისტო 2018
სტუდენტთა კვოტა	9,100	6,600
აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა	5,165	5,816
აკადემიური პერსონალის რაოდენობა	417	361
მოქმედი აკადემიური პროგრამების რაოდენობა	15	13
პარტნიორობითი საერთაშორისო უსდ-ს რაოდენობა	25	25

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამისა კომპანიის მთავარ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც გასწავლვრავს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არსებული კონიუქტურის გათვალისწინება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი მომხმარებლების მოზიდვა;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ;
- საუნივერსიტეტო განათლების განვითარება;
- ბრენდის იმიჯის გაუმჯობესება;
- კვლევების გაფართოება;
- ინოვაციური სასწავლო შეთავაზებების ზრდა და გაფართოება.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018-2019 წელს კომპანიამ განახორციელა შემდეგი ღონისძიებები სამეცნიერო კონფერენციების მიმართულებით:

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია SEU ISC 2019 I „ბიანუალური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია SEU ISC 2019“
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია SEU ISC 2019 II „ბიანუალური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია SEU ISC 2019“
- სოციალურ მეცნიერებათა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ISC 2018

აგრეთვე, კვლევები განახორციელა შემდეგი მიმართულებით:

- 2019 წლის კურსდამთავრებულების სწავლის გაგრძელება და პრაქტიკით კმაყოფილება;
- 2019 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა
- სეუ-ში 2019 წლის შემოდგომის სემესტრში მობილობით გადმოსული სტუდენტების კვლევა.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 აგვისტო 2019	31 აგვისტო 2018	1 სექტემბერი 2017	შენიშვნა
ძირითადი საშუალებები	35,572	29,937	25,489	შენიშვნა #1
გაცემული სესხები	8,021	6,185	3,643	შენიშვნა #2
მიღებული სესხი	8,105	3,594	7,049	შენიშვნა #3

შენიშვნა #1

ძირითადი საშუალებების ზრდა განპირობებულია კომპანიის საკუთრებაში არსებული სასწავლო შენობის მშენებლობასთან.

შენიშვნა #2

გაცემული სესხების ზრდა დაკავშირებული დაკავშირებულ მხარეებზე გაცემულ სესხებთან.

შენიშვნა #3

2017 წლის 1 სექტემბრისთვის ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები მოკლევადიანი სესხი სრულად არის დაფარული 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით. კომპანიას 2018 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისგან აღებული აქვს 6,326 ათასი ლარის ოდენობის სესხი მიმდინარე მშენებლობის დაფინანსებისთვის. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-16 შენიშვნაში.

2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ინსტიტუტებიდან კომპანიას აღებული აქვს დამატებით საკრედიტო ხაზი, რომლის მიზნობრიობას წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული სასწავლო შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დაფინანსება და რომელიც სრულად არის დაფარული 2020 წლის იანვარში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-20 შენიშვნაში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები კონცენტრირებულია სტუდენტთა რაპდენობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისათვის მთავარი რისკი არის ქვეყნის ეკონომიკის მერყეობა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო

(საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

შემოსავლები სწავლებიდან ძირითადად გენერირდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისად უნივერსიტეტის შემოსავლებთან დაკავშირებული სავალუტო რისკი დაბალია.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია როგორც აშშ დოლარში, ასევე ევროში, რადგან უნივერსიტეტი განაგრძობს მეორე კამპუსის მშენებლობას, აქტივების დიდი ნაწილის შესყიდვა ხორციელდება იმპორტით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2019 წლის 31 აგვისტოს არსებული სესხის ნაშთის გათვალისწინებით საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვნა რისკ ფაქტორს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი:

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). ვირუსის სწრაფად გავრცელების გამო 2020 წლის იანვარში ვირუსი შეფასდა როგორც გლობალური საფრთხე, ხოლო 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. მომსახურების სფეროს კომპანიები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. მათ შორი სასწავლო დაწესებულებები. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს არ შეუჩერებია სასწავლო პროცესი, საგანგებო მდგომარეობის შემდგომ უზრუნველყო სასწავლო პროცესის სრულფასოვანი ფუნქციონირება და სწავლების პროცესი გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.

კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობამ საგანგებო პერიოდში დაადგინა დამატებითი პირობები და წესები საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს დისტანციურ/ელექტრონულ სწავლას. ამისათვის განხორციელა შემდეგი ქმედებები:

➤ სიტუაციაზე სწრაფი რეაგირებისა და სწავლება-სწავლის გაგრძელების მიზნით უნივერსიტეტმა შეიძინა პროგრამა, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ ონლაინ დისტანციური სწავლება ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე და ჩაწერონ ლექციები. მათ ასევე, შეუძლიათ გააზიარონ პრეზენტაციები, რაც სტუდენტებთან ინტერაქციის საშუალებას აძლევს მათ. ლექციები იწერება და სტუდენტებს შეუძლიათ მათი ნახვა არასინქრონულ რეჟიმში.

➤ სეუ-მ შეიძინა საკმარისი სივრცე ონლაინ ლექციების შესანახად. სტუდენტებს გაუჩნდათ სასწავლო მასალის, ლექტორების დავალებების მიღებისა და ინტერაქციის შესაძლებლობა, რომლის განმავლობაშიც მათ კითხვებზე გაეცემათ პასუხები კურსის განმახორციელებელი ლექტორების მიერ ინტერაქტიული რეჟიმში.

➤ უნივერსიტეტი ახდენს ლექციებზე დასწრების მონიტორინგს. ონლაინ სწავლება-სწავლის პროცესის დასახმარებლად შემუშავდა და გაზიარებულ იქნა ვიდეო გაკვეთილები და სახელმძღვანელო მითითებები.

➤ დისტანციური სწავლის შესახებ ჩატარდა საინფორმაციო სესიები პროფესორებთან და სტუდენტებთან. ასევე, პროფესორ-მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

➤ სტუდენტების ელექტრონულად ინფორმირებისათვის უნივერსიტეტმა შექმნა დისტანციური მომსახურების ცენტრი. სტუდენტებს მიეცათ ყველა საჭირო საკითხზე ყოვლისმომცველი ინფორმაციის დისტანციურად მიღების შესაძლებლობა.

➤ კომპანია გადავიდა ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე. სტუდენტებს, რომლებიც ითხოვენ ცნობას, ან ნებისმიერი სახის დოკუმენტს რაც მოითხოვს უნივერსიტეტის ხელმოწერას, სეუ გასცემს ელექტრონული ხელმოწერიან ასლს, იუსტიციის სახლის ელექტრონული ბეჭდით.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. თუმცა, კორონა ვირუსის მოსაღდნელი გავრცელების მეორე ტალღის გამო 2020 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესი კვლავ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 დეკემბერს:

გია კავთელიშვილი

რექტორი

ლევან კალანდარიშვილი

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 აგვისტოს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). ვირუსის სწრაფად გავრცელების გამო 2020 წლის იანვარში ვირუსი შეფასდა როგორც გლობალური საფრთხე, ხოლო 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ პანდემია გამოაცხადა.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობამ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. მომსახურების სფეროს კომპანიები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე. მათ შორი სასწავლო დაწესებულებები. საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს არ შეუჩერებია სასწავლო პროცესი, საგანგებო მდგომარეობის შემდგომ უზრუნველყო სასწავლო პროცესის სრულფასოვანი ფუნქციონირება და სწავლების პროცესი გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე.

კოვიდ-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობამ საგანგებო პერიოდში დაადგინა დამატებითი პირობები და წესები საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს დისტანციურ/ელექტრონულ სწავლას. ამისათვის განახორციელა შემდეგი ქმედებები:

➤ სიტუაციაზე სწრაფი რეაგირებისა და სწავლება-სწავლის გაგრძელების მიზნით უნივერსიტეტმა შეიძინა პროგრამა, რომელიც პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განახორციელონ ონლაინ დისტანციური სწავლება ყოველგვარი დროის შეზღუდვის გარეშე და ჩაწერონ ლექციები. მათ ასევე, შეუძლიათ გააზიარონ პრეზენტაციები, რაც სტუდენტებთან ინტერაქციის საშუალებას აძლევს მათ. ლექციები იწერება და სტუდენტებს შეუძლიათ მათი ნახვა არასინქრონულ რეჟიმში.

➤ სეუ-მ შეიძინა საკმარისი სივრცე ონლაინ ლექციების შესანახად. სტუდენტებს გაუჩნდათ სასწავლო მასალის, ლექტორების დავალებების მიღებისა და ინტერაქციის შესაძლებლობა, რომლის განმაჯავღებელიც მათ კითხვებზე გაეცემათ პასუხები კურსის განმახორციელებელი ლექტორების მიერ ინტერაქტიული რეჟიმში.

➤ უნივერსიტეტი ახდენს ლექციებზე დასწრების მონიტორინგს. ონლაინ სწავლება-სწავლის პროცესის დასახმარებლად შემუშავდა და გაზიარებულ იქნა ვიდეო გაკვეთილები და სახელმძღვანელო მითითებები.

➤ დისტანციური სწავლის შესახებ ჩატარდა საინფორმაციო სესიები პროფესორებთან და სტუდენტებთან. ასევე, პროფესორ-მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგები.

➤ სტუდენტების ელექტრონულად ინფორმირებისათვის უნივერსიტეტმა შექმნა დისტანციური მომსახურების ცენტრი. სტუდენტებს მიეცათ ყველა საჭირო საკითხზე ყოვლისმომცველი ინფორმაციის დისტანციურად მიღების შესაძლებლობა.

➤ კომპანია გადავიდა ელექტრონული ხელმოწერის სისტემაზე. სტუდენტებს, რომლებიც ითხოვენ ცნობას, ან ნებისმიერი სახის დოკუმენტს რაც მოითხოვს უნივერსიტეტის ხელმოწერას, სეუ გასცემს ელექტრონული ხელმოწერიან ასლს, იუსტიციის სახლის ელექტრონული ბეჭდით.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. თუმცა, კორონა ვირუსის მოსაღწიელი გავრცელების მეორე ტალღის გამო 2020 წლის შემოდგომის სასწავლო პროცესი კვლავ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 25 დეკემბერს:

გია კავთაძე
რექტორი

ლევან კალანდარიშვილი
ფინანსური დეპარტამენტის
უფროსი